ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

16 მაისი
ხუთშაბათი
2024 წელი
№20 (9334)
ფასი 40 თეთრი

პროექტის ცვლილებებს – ერთსულოვანი მხარდაჭერა

12 მაისს ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში გაიმართა საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის *,,ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“* საყოველთაო-სახალხო განხილვა.

პროექტის განხილვის თაობაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ბატონი **შალვა პაპუაშვილი**, რომელმაც დაწვრილებით ისაუბრა საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის **,,ქორწინების უფლება, დედათა და ბავშვთა უფლებებში შეტანილი ცვლილებების შესახებ“.**

კანონის განხილვას ესწრებოდნენ სამცხე-ჯავახეთის მხარის პარლამენტის დეპუტატი **ანტონ ობოლაშვილი**, მხარის გუბერნატორი **ბესიკ ამირანაშვილი**, პარლამენტარები ახალციხის, ადიგენის, ბორჯომის, ასპინძის, ნინოწმინდის და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები.

კანონის პროექტს **,,ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“** შესატან ცვლილებებს ჩვენი გაზეთის მეორე გვერდში გთავაზობთ.

პროექტის განხილვაში მონაწილეებმა ცვლილებას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი.

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი ღარიბაშვილი და რეგიონული მდივანი დიმიტრი სამხარაძე, ბორჯომის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის, ადიგენისა და ნინოწმინდის ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს და პარტიულ აქტივს შეხვდნენ.

ბორჯომში გამართულ შეხვედრას ესწრებოდნენ საპარლამენტო უმრავლესობის წევრები **ანტონ ობოლაშვილი, სამველ მანუკიანი, სუმბატ კიურელიანი,** სახელმწიფო რწმუნებული სამცხე-ჯავახეთის მხარეში **ბესიკ ამირანაშვილი.**

- ძალიან კარგი შეხვედრა გვქონდა ბორჯომში. შევხვდით სამცხე-ჯავახეთის რეგიონის პარტიის აქტივს. ვისაუბრეთ საარჩევნო და მიმდინარე საკითხებზე, შევეხეთ მოვლენებს, რომელიც ვითარდება ქვეყანაში და რეგიონში.

ჩვენი მთავარი მესიჯია - პარტია კარგად უნდა იყოს მომზადებული არჩევნების დღისთვის, რომ ძლიერად გავიმარჯვოთ.

მინდა ჩვენს მოსახლეობას მივმართო - თუ რომელიმე პოლიტიკურ ძალას დღეს შესწევს უნარი და ძალა იმისა, რომ შეინარჩუნოს მშვიდობა, სტაბილურობა და უზრუნველყოს განვითარება, მათ შორის, ევროპული ინტეგრაციის გზაზე, ეს არის ერთადერთი უალტერნატივო ძალა, „ქართული ოცნება“. სხვა ალტერნატივა არ არსებობს. სხვა ალტერნატივა, ეს არის ნგრევა, ომი, ქაოსი და უბედურება, რომელიც უკავშირდება „ნაცმოძრაობას“ და მის სატელიტებს", - **ირაკლი ღარიბაშვილი**.

,,ქართული ოცნების“ თავმჯდომარისა და პარტიის ლიდერების შეხვედრები რეგიონებში 2 მარტს დაიწყო. სამცხე-ჯავახეთის გარდა, შეხვედრები გაიმართა აჭარაში, სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მხარეში.

ირაკლი ღარიბაშვილი პარტიულ აქტივს 100 დღის განმავლობაში, 10 რეგიონში შეხვდება.

9 მაისს ბორჯომში ფაშიზმზე გამარჯვების 79-ე წლისთავი აღინიშნა

2024 წლის 9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების 79 წელი შესრულდა. რუსთაველის ქუჩაზე არსებულ შინმოუსვლელთა სკვერთან ბორჯომის საზოგადოებრიობამ პატივი მიაგო ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დალუპულ ვაჟკაცებს, რომლებიც იბრძოდნენ საკუთარი სამშობლოს და ოჯახის მშვიდობიანი განვითარებისათვის.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა,** საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით ზაალიშვილმა**, მერის მოადგილემ **გიორგი ტაბატაძემ**, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებმა **გიორგი ფერაძემ** და **ჯუმბერ კურტანიძემ** და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მემორიალი გვირგვინითა და ყვავილებით შეამკეს.

დეკანოზმა **იოანემ (ხეცურიანი)** გარდაცვლილი გმირების სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა.

სიტყვებით გამოვიდნენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი,** საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი**, გაზეთ ,,ბორჯომის“ რედაქტორი **ვალერიან ლომიძე**, რომლებმაც დიდი სითბოთი და სიყვარულით გაიხსენეს ომის მონაწილე ბორჯომელი მებრძოლები და ბორჯომის ჰოსპიტალებში ასობით დაჭრილი ჯარისკაცები, რომლებიც გამოჯანმრთელების შემდეგ კვლავ ფრონტს დაუბრუნდნენ ფაშისტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ღონისძიება მუსიკალურად გააფორმეს და საგალობლები შეასრულეს ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებულმა ვოკალურმა ანსამბლებმა.

მოგვიანებით ხელმძღვანელმა პირებმა და რიგითმა მოქალაქეებმა „ძმათა სასაფლაოზე“ გადაინაცვლეს, სადაც II მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალი და გმირთა საფლავები ყვავილებით შეამკეს.

აღსანიშნავია, რომ წელს პირველად, ბორჯომში ფაშიზმზე გამარჯვების დღე სამამულო ომის ვეტერანების გარეშე აღინიშნა.

ერთად სიცოცხლისათვის

13 მაისს, ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრმა ანსამბლ „მერმისის“ საქველმოქმედო კონცერტს უმასპინძლა, რომელიც ბერი ანდრიას ფონდის ბენეფიციარების დასახმარებლად გაიმართა. ბერი ანდრიას ფონდი 13 წელია არსებობს და ფონდის ბენეფიციარები, სიმსივნური და ლეიკემიით დაავადებული ბავშვები არიან. ღონისძიება ორი ნაწილისაგან შედგებოდა. საკონცერტო ნომერი ცეკვა ,,ქართულმა“ გახსნა, რომელსაც ერთმანეთის მიყოლებით მოჰყვა ,,სამაია“, ,,დავლური“, ,,ქალ-ვაჟთა აჭარული“, ,,მუხამბაზი“ და ,,ყაზბეგური“.

კონცერტზე ვიდეოთვალის მეშვეობით ჩაერთო ბორჯომის ილია თეზბიტელის სახელობის ტაძრის წინამძღვარი მამა იოანე ხეცურიანი, რომელსაც, მოულოდნელად მოუხდა თურქეთში გამგზავრება, სადაც ის ,,ანადოლუს სამედიცინო ცენტრში“ იმყოფებოდა. კლინიკაში სიმსივნით დაავადებული ბავშვები გადიან მკურნალობას. მამა იოანემ აღნიშნა, რომ საქველმოქმედო ღონისძიება გახლდათ შეწირული მადლი, შეწირული ძალისხმევა, რომელიც მთელი სულისკვეთებით გასცეს პატარა მოცეკვავეებმა თავიანთი თანატოლების მიმართ. მამაომ აღნიშნა, რომ ღონისძიება მეუფე დანიელის ლოცვა-კურთხევით დაიგეგმა და მაყურებლმა იხილა ერთი თვის დაუღალავი შრომის შედეგი.

ღონისძიებაზე საპატიო სტუმრად გახლდათ მოწვეული ბერი ანდრიას დედა, დედა - თინათინი, რომელმაც თავის სამადლობელ სიტყვაში აღნიშნა, რომ პატარა მოცეკვავეების მხრიდან, საკუთარი შემოქმედების შეწირვა მისი შვილობილების მიმართ მართლაც მნიშვნელოვანია, რადგანაც ბავშვები ზრუნავენ თავიანთ თანატოლებზე. მან მადლობა გადაუხადა ქალბატონ ნინო ყეინიშვილს, ანსამბლ „მერმისის“ ხელმძღვანელს. ქალბატონი ნინო პირადად იმყოფებოდა ბერი ანდრიას ფონდში, სადაც მან პირადად ნახა თუ როგორ ზრუნავს ფონდი ბენეფიციარებზე და მათ ოჯახებზე. დედა თინათინმა აღნიშნა, რომ ეს არის კომპლექსური დახმარება არა მხოლოდ დაავადებული ბავშვების მიმართ, არამედ მათი ოჯახების მამართაც, რათა გაუმკლავდნენ იმ გამოწვევას, რის წინაშეც ეს ადამიანები დგანან. ამიტომაც, თითოეული გაღებული ერთი ლარიც კი, ფონდის შვილობილებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია.

ღონისძიების მეორე ნაწილი ანსამბლ ,,მერმისის“ ტაძრისის ფილიალის მოსწავლეებმა გახსენეს ქალთა აჭარულით. საოცარი მუხტი მოდიოდა თითოეული ნომრის შესრულებისას. თითოეული მოცეკვავის მოძრაობაში იგრძნობოდა უდიდესი პასუხისმგებლობა იმ უაღრესად მნიშვნელოვანი საქმის მიმართ, რასაც ყველაზე ძვირფასის, ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა ჰქვია და თანაც, ეს ადამიანები, ხომ ჩვენი მომავალი თაობა, ბავშვები არიან. დარბაზში მსხდომი თითოეული ადამიანი, სცენაზე მდგომ პატარა მოცეკვავეებთან ერთად გახდა იმ სიკეთის ნაწილი, რომელიც სხვისი სიცოცხლის დახმარებას გულისხმობს და აღნიშნული საღამო მართლაც შედგა. აკი ღონისძიების სლოგანიც ხომ სწორად იყო შერჩეული ,,ერთად სიცოცხლისათვის“.

ღონისძიების დასასრულს ანსამბლის ხემძღვანელი, ქალბატონი ნინო ყეინიშვილი წარსდგა მაყურებლის წინაშე, ის ემოციებს ვერ მალავდა. მან მადლობა გადაუხადა მოსწავლეებს იმ შრომისთვის, რაც გასწიეს და ასეთი რამ თქვა, რომ მისმა მოსწავლეებმა კარგად იცოდნენ, რომ ისინი ამ საღამოს არ მიიღებდნენ ჯილდოს საუკეთესო ცეკვისთვის, მათ პირიქით გაიღეს ჯილდო საკუთარი თანატოლების დასახმარებლად და უაღრესად ბედნიერია თუ მათ ეს შეძლეს.

მადლობა ანსამბლ „მერმისის“ ხელმძღვანელს ქალბატონ ნინო ყეინიშვილს და ანსამბლის ქორეოგრაფს, სალომე მაზმიშვილს იმისთვის, რომ ამ შესანიშნავი საღამოს ნაწილი ჩვენც გაგვხადეს. დიახ, სიკეთეს ბევრი რამის შეცვლა შეუძლია, მათ შორის სიცოცხლის ჩუქებისაც.

ნატო მელიქიძე

არავინ და არაფერია დავიწყებული

გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი მემორიალი ბაკურიანში, ოდნავ შეცვლილი, უკვე რამდენი წელია ეულად ხვდება 9 მაისს. ამ დღეს აქ სიჩუმეა, საღამოსთვის ნარცისების თაიგულს დადებს მონინებით ვილაც, ზოგი ცალი თვალით იჭყიტება, იმედოვნებს თანამოაზრის იქ ყოფნას, რომ შეუერთდეს და ერთად გაიხსენონ ღირსეული წინაპრები. ბევრს სისხლსა და ხორცში აქვს გამჯდარი ბებია-ბაბუის ომისდროინდელი ამბები. მათი ჩინ-მედლებით სავსე მოსასხამები და გრანდიოზული ღონისძიებები ზუსტად აქ, ახლა ცარიელ ადგილზე კარგად ახსოვთ ბავშვობიდან. ფასეულობები იცვლება, მაგრამ წინაპრების პატივისცემა ერთ-ერთი უმთავრესი და ხელშეუხებელია. მათ თვალებზე მომდგარი ცრემლი, როდესაც მაშინდელ „გამარჯვების დღის“ ცნობილი სიმღერის ჰანგებს უსმენდნენ, სიამაყე, როდესაც თაიგულებით ხელდამშვენებულები ბრუნდებოდნენ სახლში შეუფასებელი მოგონებაა...

ცარიელია 9 მაისის მემორიალი არა მხოლოდ ფასეულობების შეცვლის გამო. აღარა გვყავს ვეტერანები, ხუმრობა ხომ არაა, 79 წელი გავიდა...

იყო დრო, როდესაც ბაკურიანელი **ამირან გოგოლაძე,** კოლორიტული პიროვნება, ძველებური სატვირთო მანქანით, ომისდროინდელი დროშებით და ატრიბუტებით, მარშლების, პოლიტბიუროს წევრების და ბაკურიანელი ვეტერანების ფოტოებით დამშვენებული 9 მაისის დილას სიგნალით გამოდიოდა ქუჩაში და საპატიო წრის შემოვლის შემდეგ, მემორიალთან დგებოდა. ის დროც ხელში შემოგვადნა.

ძალიან გამეხარდა, როდესაც წელს, გამარჯვების დღეს ამირან ძია დავინახე მემორიალთან. თავისი ძვირფასი რარიტეტული ნივთებიდან რამდენიმე წამოეღო - მარშლების და მეთაურების პორტრეტები, ლამაზად განეთავსებინა, გარშემო ახალგაზრდები შემოეკრიბა და სიტყვით გამოდიოდა. გამარჯვების დღე მივულოცე და კონიაკითაც ვადღეგრძელე. ახალგაზრდები იგონებდნენ პაპების მოგონებებს, საინტერესო ეპიზოდს, ამბავს, თუ როგორ შეხვდნენ ბაკურიანელი ბიძაშვილები შუაგულ ევროპაში ერთმანეთს, ფაშისტების განდევნის ეპიზოდები ბავშობიდანვე ზეპირად ვიცოდი, რადგან ერთ-ერთი ჩემი პაპიდა იყო. მე კიდევ ერთხელ ამაყად ნელში გავიმართე ჩემი პაპის, ომის დროს კავკასიონზე ფაშისტური დროშის ჩამოგდების მონაწილე მებრძოლი პაპის ხსენებისას. აი, ასე რანი ვიქნებოდით ჩვენ, ჩვენი წინაპრების გარეშე?

ამირან ძიამ იმდროინდელი დიქტორის ხმით ,,დიდება“ მიუძღვნა ყველას, ვინც მსხვერპლად შეეწირა მეორე მსოფლიო ომს, ნაცნობსა თუ უცნობს, მშვიდობიან მოსახლეობას თუ მებრძოლებს.

გაიხარეთ, ძია ამირან ამ დღის გალამაზებისათვის!

ჭეშმარიტად არავინ და არაფერია დავიწყებული!

რუსუდან სხირტლაძე

საქართველოს კონსტიტუცია

(ცვლილების პროექტი)

მუხლი 30. ქორწინების უფლება, დედათა და ბავშვთა უფლებები

1. ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.

2. დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით.

3. ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა საცვა უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციური კანონით, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია.

საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი

ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ

მუხლი 1.

1. კანონმდებლობით შეიძლება მოწესრიგდეს ქორწინებასთან მიმსგავსებული მხოლოდ იმგვარი ურთიერთობა, რომელიც არანაკლებ 18 წლის ერთი გენეტიკური მამაკაცისა და ერთი გენეტიკური ქალის კავშირს ითვალისწინებს.

2. არასრულწლოვანის შვილად აყვანა ან მინდობით აღზრდა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის შესაბამისად ქორწინებაში მყოფი მეუღლეების ან ჰეტეროსექსუალი პირის მიერ.

3. აკრძალულია ადამიანის სქესის შეცვლასთან დაკავშირებული ნებისმიერი სამედიცინო ჩარევა.

4. სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გაცემულ დოკუმენტში მიეთითება მხოლოდ მდედრობითი ან მამრობითი სქესი, რომელიც მის გენეტიკურ მონაცემებს შეესაბამება.

5. ბათილია საჯარო ხელისუფლების ან კერძო პირის ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც სქესობრივი ნიშნით განსაზღვრული ცნებების გამოყენებას პირდაპირი ან ირიბი ფორმით ზღუდავს.

6. აკრძალულია იმგვარი შეკრება, რომელიც ერთნაირსქესიანი ოჯახური ან ინტიმური ურთიერთობის, ინცესტის, ერთნაირსქესიანი წყვილის ან არაჰეტეროსექსუალი პირის მიერ არასრულწლოვანის შვილად აყვანის ან მინდობით აღზრდის, სქესის შეცვლასთან დაკავშირებული სამედიცინო ჩარევის ან სქესობრივი ნიშნით განსაზღვრული ცნებების არგამოყენების პოპულარიზაციისკენ არის მიმართული.

7. აკრძალულია იმგვარი შინაარსის ნაწარმოების, პროგრამის ან სხვა მასალის გავრცელება, რომელიც ერთნაირსქესიანი ოჯახური ან ინტიმური ურთიერთობის, ინცესტის, ერთნაირსქესიანი წყვილის ან არაჰეტეროსექსუალი პირის მიერ არასრულწლოვანის შვილად აყვანის ან მინდობით აღზრდის, სქესის შეცვლასთან დაკავშირებული სამედიცინო ჩარევის ან სქესობრივი ნიშნით განსაზღვრული ცნებების არგამოყენების პოპულარიზაციისკენ არის მიმართული.

8. აკრძალულია საჯარო ან კერძო საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო პროცესში იმგვარი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც ერთნაირსქესიანი ოჯახური ან ინტიმური ურთიერთობის, ინცესტის, ერთნაირსქესიანი წყვილის ან არაჰეტეროსექსუალი პირის მიერ არასრულწლოვანის შვილად აყვანის ან მინდობით აღზრდის, სქესის შეცვლასთან დაკავშირებული სამედიცინო ჩარევის ან სქესობრივი ნიშნით განსაზღვრული ცნებების არგამოყენების პოპულარიზაციისკენ არის მიმართული.

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი

მოქალაქეობრივი პოზიცია

სიმშვიდეს, ერთმანეთის პატივისცემასა და ქვეყნის სტაბილურ განვითარებას უჭერენ მხარს გამოკითხული ბორჯომელი მოქალაქეები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ხედვა, რომელთაც მოქალაქეების თანადგომა სჭირდებათ.

ათეული წელია უკვე გაზეთ „ბორჯომის“ მკითხველისათვის ეტაპობრივად მიწევს ქუჩის გამოკითხვის ჩატარება და დღემდე, როდესაც მოქალაქეები პოზიციას აფიქსირებენ, რატომღაც ყოველთვის უმრავლესობას კონფიდენციალობის დაცვა სურთ და სახელს თუ გვეუბნებიან გვარს არა, ან საერთოდ უარს ამბობენ ინდენთიფიკაციაზე, სიტყვებით - რა საჭიროა!...

ამიტომ მათი თხოვნით, სრული პასუხისმგებლობითა და კონფიდენციალურობის დაცვით მე გთავაზობთ რამდენიმე ბორჯომელის მოქალაქეობრივ პოზიციას, რომლებიც ქუჩაში ხშირად თითოეულ ჩვენგანს გვხვდებიან და პოზიციას პირად საუბრებში აფიქსირებენ, ასე საჯაროდ კი მაინც ერიდებიან სათქმელი ხმამაღლა თქვან. თუმცა, რაც არ უნდა ვთქვათ, ნეიტრალური პოზიცია გვქონდეს არჩევნების პერიოდში, საარჩევნო ყუთთან მაინც იღებ გადაწყვეტილებას, ვის დაუჭერ მხარს.

ირმა, ო. 55 წლის: - თუ სახელმწიფოს ქვეყნის განვითარებისთვის ჩემი გვერდით დგომა დასჭირდება, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ყოველთვის მზად ვარ დავდგე მათ გვერდით. სახელმწიფოს ყოველთვის სჭირდება ხალხის გვერდით დგომა. სწორედ მათი ხმა და ინტერესები ხმოვანდება საკანონმდებლო ორგანოში და შესაბამისად იღებენ გადაწყვეტილებას. თითოეულმა მოქალაქემ უნდა გაიაზროს და ჰქონდეს მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო ინტერესები.

დარეჯან, ი. 65 წლის: - ვთვლი, რომ თითოეული მოქალაქის ვალია უსმინოს, თუ რას ეუბნება სახელმწიფოს მმართველი ხელისუფლება ხალხს, კარგად მოუსმინოს და ისე მიიღოს გადაწყვეტილება. სანამ წინააღმდეგობას გაუწევს და თავადაც არ ეცოდინება რეალურად რა რისთვის კეთდება სახელმწიფოში, რომელიც ზრუნავს მოქალაქეთა უსაფრთხოებაზე. ჩემი პირდაპირი მოვალეობაა, ვიზრუნო სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე და მქონდეს სწორი ხედვა ჩემი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ნათია, ლ. 27 წლის: - ჩვენ ვნახეთ, როგორია ევროპული ცხოვრება. დიახ, აუცილებლად გვსურს ვიყოთ ევროკავშირის წევრი ქვეყანა. თითოეულ მოქალაქეს სურს განვითარებულ ქვეყანაში ცხოვრება. ევროპა რომ კულტურულ ღირებულებებს სცემს პატივს, ტოლერანტობას, ადამიანთა უფლებებსა და ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობას არც ახალია და არც გასაკვირი. ყველას ჩვენი არჩევანი გვაქვს. ერთი ადამიანი მეორე ადამიანის მიმართ სიძულვილს არ უნდა გამოხატავდეს, და რომ ევროპა გარყვნილია, არ უნდა იძახდეს, და თან ევროკავშირისა და საქართველოს დროშას აფრიალებდეს. ორაზროვნება დიპლომატია არ არის, ერთს აკეთებდე და მეორეს ამბობდე.

მარინა 47 წლის: - თუ კარგად არ დააკვირდი, საერთოდ დაგაბნევენ მოქალაქეს. წინა კვირას მთავრობის წარმომადგენლებმა გააზიარეს არა რუსულ კანონსო, აქვე გამოფენილია ევროკავშირისა და საქართველოს დროშა. ორივე მხარე გაიძახის, არა რუსულ კანონსო. მოვუსმინე ორივე მხარის კომენტარებს და ისეთი აურზაური, დემაგოგიური განცხადებებია, რომ სურვილს გიჩენს გაიფიქრო, უჩემოდაც მოგვარდებიანო და საერთოდ განყენებულმა უყურო.

პოლიტიკურ მოვლენებზე ნერვიულობის სინდრომი საზოგადოებაში, ასევე ხელისუფლებასა და ოპონენტებში, მალე ახალ საკვლევ თემას, თუ დაედება საფუძველი, რომელიც ჭეშმარიტებამდე თუ არა, ახალ აღმოჩენამდე ნამდვილად მიგვიყვანს. მშვიდობის დღეები გათენებოდეს საქრთველოს.

მოამზადა იზა იანვარაშვილმა

საღღეისო სატკივარი

დღევანდელ დღემდე უფლისა და ქვეყნის სიყვარულმა მოგვიყვანა

რამდენიმე კვირაა ქვეყნის მთავარ მოედანზე საქართველოს მოსახლეობის ოპოზიციური ნაწილი გამჭვირვალობის შესახებ კანონპორიექტის მიღებას აპროტესტებს. სოციალურ ქსელებსა თუ სატელევიზიო სივრცეში უამრავი ფოტო თუ ვიდეო მასალა ვრცელდება, რითაც ისევ ოპოციზიური ფრთის ნაწილი მანიპულირებს და მთელი ძალით ცდილობენ, რომ რაც შეიძლება მეტი ნეგატივი დათესონ საზოგადოებაში ხელისუფლების მისამართით. სადაც კი ხმა და ხელი მიუწვდებათ, ყველგან ცდილობენ საკუთარი ხელწერის დატოვებას და ლოზუნგები „წინ ევროპისკენ“, „არა რუსულ კანონს“ მათი მთავარი ამოსავალი წერტილია და დიდი ეჭვი მაქვს, გამჭვირვალობის შესახებ კანონპროექტის შესახებ მოსახლეობის იმ ნაწილმა, რომელიც ფაქტიურად, ღამეებს ათენებს, მთავარ მოედანზე, რაიმე იცოდეს იმ კანონის შესახებ, რაც რეალურად იქ წერია.

არც ქვეყნის გარეთ მცხოვრები ემიგრანტები დატოვეს და ვისთანაც ხელი მიუწვდებოდათ, წამში აფრინეს წერილები საქართველოში და ახლა იმათით ცდილობენ ქვეყნის ,,ბნელი ნაწილის“ ვითომ ,,გაბრწყინებას“. აი იმ ემიგრანტების უმრავლეოსობა კი, ვინც მთავარ მოედანზე დროშებითა და ტრანსპარანტებით ხელში დგას, დღეს უკვე ევროპის მოქალაქეა, ან ამერიკის. ჰოდა, აბა წარმოიდგინეთ, იმ მშობლების გულში ჩაიხედეთ, ვინც ქვეყნიდან ამდენი წელია წასული, ემიგრანტია და საკუთარი ოჯახის წევრი გულში აღარ ჩაუკრავს. უყურებენ შორიდან ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს და ეშინიათ, რა მოხდება. თუმცა, გამოდიან ეს ამერიკის და ევროპის მოქალაქეები და ჭკუას ასწავლიან მათ, ვისაც ეს ნამდვილად არ სჭირდება.

მინდა, ჩემი პირადი პოზიცია გამოვხატო ერთი ამბის შესახებ. მოკლედ, რამდენიმე ხნის წინ სოციალურ ქსელში ამერიკაში მცხოვრები ემიგრანტი ქალის შესახებ ამოვიკითხე, რომელმაც ურთულესი გზა გაიარა, ჯერ იტალიაში ცხოვრობდა, ხოლო შემდეგ ამერიკაში, სადაც დაოჯახდა კიდეც და დღეს ის ამერიკის მოქალაქეა. ერთდაერთი ვაჟი კი, რომელიც წლების მანძილზე საქართველოში ავადმყოფ მშობლებთან ყავდა დატოვებული, თავისთან წაიყვანა და დედა-შვილი იქ ბედნიერად ცხოვრობს. ქალბატონის სახელი და გვარია ცისნამი საყვარლიშვილი. ცოტა ხნის წინ მან ავტობიოგრაფიული წიგნი, ,,წითელთმიანი გოგონას“ დღიური გამოსცა საკმაოდ დიდი ტირაჟით. მისი წიგნის წაკითხვის ბედნიერება მეც მხვდა წილად და იმდენად დადებითად განვეწყე ამ პიროვნების მიმართ, რომ ვიფიქრე, აღნიშნული წიგნის მცირედი მიმოხილვა ჩვენი გაზეთის მკითხველისთვისაც საინტერესო იქნებოდა, თუმცა რაღაცნაირად ვერ მოვაბი თავი და ახლანდელი გადმოსახედიდან არც ვნანობ. ვისაც ჩემსავით სოციალურ ქსელთან მიგიწვდებათ ხელი და ამ ქალბატონის ვიდეოები გინახავთ, ბოლო რამდენიმე დღეა მის პირად გვერდზე, აქციებზე გადაღებული ფოტო და ვიდეომასალები უდიდეს ადგილს იკავებს. ის ჩამოვიდა იმისთვის, რომ იდგეს ახალგაზრდების გვერდით. **ისმის კითხვა, კი მაგრამ, რომელი ახალგაზრდების? იმ ახალგაზრდების, რომლებიც „დაბოლილები“ „არაფხიზელ მდგომარეობაში“ მყოფნი, სრულიად გაუზრებლად დგანან აქციაზე და რას აპროტესტებენ თვითონაც ვერ გაუგიათ?** გაუგიათ მხოლოდ ის, რომ ,,კანონი რუსულია“. სამწუხაროდ, არა მარტო ჩემი, არამედ მოსახლეობის იმ უდიდესი ნაწილის აღშფოთება გამოიწვია ზემოთ ხსენებული ქალბატონის, ცისნამი საყვარლიშვილის გვერდზე გამოქვეყნებულმა ფოტოსურათმა, სადაც ის ლაზარე გრიგორიადისთან ერთდა დგას. ფოტოს წარწერა ამშვნებს: ,,**ლაზარე გავიცანი, ძალიან საყვარელი ბიჭია**“. უბრალოდ ვერ წარმოიდგენთ აღნიშნულ ფოტოს რამდენი ნეგატივი მოჰყვა. **პირადად მეც მიჩდება კითხვა, კი მაგრამ ადამიანი, რომელმაც მოლოტოვის კოქტეილი გამოიყენა აქციაზე და მისთვის, ადამიანის მკვლელობა არაფერია, ასეთი ადამიანი საყვარელი შეიძლება იყოს?** რა თქმა უნდა, არა. ან კიდევ, ვისაც გინახავთ ან არ გინახავთ, გირჩევთ გავრცელებული ვიდეოკადრები ნახოთ, სადაც 20-მდე ბავშვი ზის შუაგულ მოედანზე და ტრანსპარანტებითა და შეძახილებით **„წინ ევროპისაკენ“**., **„არა რუსულ კანონს“**. ,,ამხნევებენ“ მომიტინგეებს. სამწუხაროდ, ამ ბავშვებიდან ყველაზე უფროსი ასაკის 10-11 წლის თუ იქნება, ხოლო ყველაზე უმცროსი 2-3 წლის. **ისმის კითხვა, რომელ მშობელს მოუვიდა აზრად, რომ 20-მდე ბავშვი, შუაგულ მოედანზე დაესვა და ასეთი „პროპაგანდის“ გაკეთების უფლება მიეცათ მათთვის? ეს ბავშვები ხომ იმ ასაკის არიან, რომელთა უმრავლესობაც სკოლაში სწავლობს ან საბავშვო ბაღში დადის და მათთვის მთავარი პრიორიტეტი ახლა, მხოლოდ სწავლა და თამაში უნდა იყოს?**

ვერასდროს გავამართლებ იმ ადამიანს, რომელიც 9 აპრილის მემორიალზე ფეხით ავა და იცეკვებს, პატრიარქის ლანძღვა-გინებას დაიწყებს, ილიას ნაანდერძებ „მამულს, ენას და სარწმუნოებას“ - „ერთობით“ შეცვლის და შემდეგ აღდგომის

დღეებში დადგება და იგალობებს. სად არის აქ სიყვარული „მამულის, ენის და სარწმუნოების“?

ნუთუ შეიძლება, რომ ლაზარე გრიგორიადისის, ან ანა სუბელიანის მსგავსი ადამიაები გმირებად შერაცხოთ? **მაშ, რაღა ვთქვათ გიორგი ანწუხელიძეზე, რომელმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად, სისხლით დაიცვა ქვეყნის ღირსება და ვალმოხდილი წავიდა ამქვეყნიდან!**

დიახ ბატონებო, ქართველი კაცი ხომ ერთმანეთის მტრობით იყო მუდამ მაძღარი და არც ახლანდელი სიტუაციაა გამონაკლისი ამ მხრივ.

მეტი დაფიქრება გვმართებს იმ პირობებში, როცა ქვეყანაში ისევ ყველაზე დიდი მტერი რუსეთია, ნუ დავანახებთ მტერს ჩვენ გახლეჩილობას. თუმცა ისიც კარგად ვიცით, რომ ქართველს ქართველზე დიდი მტერი არ ჰყოლია და ესეც ცხადია, რომ იმან, რამაც დღევანდელ დღემდე მოგვიყვანა მხოლოდ უფლისა და ქვეყნის სიყვარული ჰქვია და თუკი ესეც აღარ შეგვრჩა, ჩვენ დამარცხებას რაღა უნდა.

მოამზადა ნატო მელიქიძემ

18 მაისი მუზეუმის დღეა

მუზეუმი და საზოგადოება



მუზეუმი ლათინური სიტყვაა და კლასიკურ პერიოდში იგი აღნიშნავდა მუზებისათვის განკუთვნილ ტაძარს. ეგვიპტის მმართველმა პტოლემაიოს ფილადელფისმა ძვ. წ. აღ. III საუკუნეში დააარსა იმ დროისათვის ყველაზე სახელგანთქმული მუზეუმი ეგვიპტეში (ალექსანდრიაში), ეს იყო ფილოსოფიისა და ლიტერატურის შესასწავლი ადგილი, ამ კომპლექსში შედიოდა სალექციო დარბაზები, გადახურული გალერეები, ბიბლიოთეკა და სხვა. ალექსანდრიის მუზეუმში ინახებოდა: ნითები, მოაზროვნეთა ქანდაკებები, ქირურგიული და ობსერვატორიული მოწყობილობანი, სპილოს ეშვები, ცხოველთა ფიტულები და სხვა. ამ დაწესებულებას სახელმწიფო უწევდა დახმარებას, პირველი მუზეუმი და მისი ბიბლიოთეკის უმეტესი ნაწილი ძველი წელთაღრიცხვის 270 წელს იქნა განადგურებული სამოქალაქო არეულობის დროს.

ანტიკურ სამყაროში არსებობდა ექსპონატების სახელმწიფო კოლექციები, რომლებიც ფასდებოდა ისტორიული, რელიგიური და მაგიური მნიშვნელობით. ბერძნულ ტაძრებში ინახებოდა ოქროს, ვერცხლისა და სხვადასხვა ძვირფასი ქვებისაგან დამზადებული შემოწირული ნივთები, ქანდაკებები, მხატვრობის ნიმუშები და უბრალოდ ოქროს ზოდებიც კი, რომლებიც პერიოდულად გამოიფინებოდა ხოლმე საზოგადოებისათვის. ასე მაგალითად ოლიმპიაში (საბერძნეთი) ზევსი მეხთამტეხელის საკურთხეველში იდგა ძველი მსოფლიოს შვიდი საოცრებათაგან ერთ-ერთი ზევსის ქანდაკება, რომელიც უფრო საიუველირო ნაწარმს წარმოადგენდა ვიდრე ქანდაკებას. მნახველებში დიდ აღტაცებას იწვევდა ღმერთის რეალისტური გამოსახულება, თითქოს ისინი ნამდვილ ღმერთს ხედავდნენ როდესაც ტაძრის ქურუმი საკურთხევლის ფარდას მცირე ხნით გადასწევდა.

შუა საუკუნეებში ევროპის ეკლესია-მონასტრები საიუველირო ნაკეთობების, ქანდაკებების, ხელნაწერების და სხვადასხვა სიწმინდეების საცავებად იქცა. ამას დაემატა ჯვაროსნული ლაშქრობებიდან ჩამოტანილი ნადავლი, დროდადრო ხდებოდა ტაძრებში ამ ნივთების გამოფენა.

XVII-XVIII საუკუნეებში ,,საჯარო მუზეუმების“ გახსნა აუცილებელი გახდა. პირველი საჯარო მუზეუმი გაიხსნა 1759 წელს დიდ ბრიტანეთში, სადაც საგანგებოდ იყო შემოღებული სპეციალური ბიბლიოთეკარის წოდება, რომელსაც ევალებოდა გადაეწყვიტა შეიძლებოდა თუ არა მსურველის შეშვება მუზეუმში. ამგვარმა ქმედებებმა ხელი შეუწყო იმას, რომ საზოგადოების დაბალი ფენის წარმომადგენლებმა ზურგი შეაქციეს მუზეუმს.

1851 წელს ბრიტანეთში გაიმართა გამოფენა, რომელმაც სტიმული მისცა ფართო საზოგადოებას რომ შესულიყვნენ მუზეუმში. XIX საუკუნეში როგორც მეფეებმა, ისე მთავრობებმა აღიარეს მუზეუმების მნიშვნელობა.

XX საუკუნეში წარმოიშვა იდეები მუზეუმის რეფორმირებასთან დაკავშირებით.

დღეს არსებობს ხელოვნების, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, მხარეთმცოდნეობის, სამხედრო და სხვა შინაარსის მუზეუმები. საქართველოში ყველაზე ძველი მუზეუმი დაარსდა 1852 წელს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი, 1919 წლამდე მას კავკასიის მუზეუმი ეწოდებოდა.

ადამიანები მუზეუმებს სტუმრობენ მრავალი მიზეზის გამო, ახალ ადგილებში მოგზაურობისას, მუზეუმების მეშვეობით ეცნობიან ამა თუ იმ ადგილის კულტურას, ხელოვნების ნიმუშებს, რომლებიც ღირებული და მისაღებია იმ კონკრეტული ადგილისათვის.

მუზეუმები ადამიანის ევოლუციას ემსახურება, ადამიანს არ შეუძლია იცხოვროს ზუსტად ისე, როგორც საუკუნეების წინ ცხოვრობდა კაცობრიობა. ყოველი ახალი ნაბიჯი მეცნიერებაში, ტექნოლოგიაში, კულტურში ეტაპობრივად აისახება და ინახება, როგორც წერილობითი, ასევე ექსპონატების სახით მუზეუმებში, საგამოფენო გალერეებსა და დარბაზებში და საგანგებოდ მოწყობილ ფონდსაცავებში.

მუზეუმებს ბევრი ინფორმაციის მიწოდება შეუძლიათ ვიზიტორებისათვის. ამიტომ მუზეუმის არსებობა დიდად მნიშვნელოვანი და საჭიროა.

მუზეუმის როლი დღევანდელ საზოგადოებაში

მუზეუმის ახალი როლი შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც ტრადიციული სამუზეუმო საქმიანობის შენარჩუნება, ამასთანავე ამას უნდა დაემატოს საგანმანათლებლო ასპექტიც, რომლის ფარგლებშიც ყურადრება გამახვილებული უნდა იყოს ცოდნის გაზიარებაზე, გააუმჯობესოს ურთიერთობა მომხმარებელთან.

მუზეუმების საგნმანათლებლო როლის ხასიათი და მასშტაბები მნიშვნელოვნად შეიცვალა, ისინი კოლექციების, ცოდნის გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების საცავია, აქედან გამომდინარე, მუზეუმი ვალდებულია თავისი რესურსები ყველა პოტენციურ მომხმარებლებს გაუზიაროს.

სამუზეუმო განათლება დაკავშირებულია, მუზეუმის საკომუნიკაციო ხასიათთან, აქედან გამომდინარე მუზეუმები ხდებიან არა მარტო ექსპონატების საცავები არამედ ინფორმაციის მიმწოდებლებიც. მუზეუმების უმრავლესობა მჭიდროდ თანამშრომლობენ სკოლებთან, რათა მასწავლებლებმა შეძლონ მაქსიმალურად გამოიყენონ ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო რესურსები. პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს მუზეუმებში საგანმანათლებლო განყოფილების დაარსება. მუზეუმისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ცვლილებებს განათლების სფეროში, რადგან ისინი ამდიდრებენ ვიზიტორების შთაბეჭდილებებს კოლექციებზე, ზრდის მომსვლელთა რაოდენობას, იზიდავენ უფრო მრავალფეროვან დამთვალიერებლებს. სხვადასხვა ტექნოლოგიური სიახლეები გამოიყენება კოლექციათა დემონსტრირებისას, აგრეთვე მუზეუმების ინტერნეტით ხელმისაწვდომობისათვის, თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით გაფართოვდა და ადვილი გახდა ინფორმაციების გაცვლა. მუზეუმები დღევანდელ დღეს თანამედროვე ტექნოლოგიებს იმდენად ფართოდ იყენებენ, რომ ის თავად შეიძლება ჩაითვალოს ,,მატერიალური კულტურის ძეგლად“.

მუზეუმის დათვალიერება კულტურული ტურიზმის ერთ-ერთი ყველაზე ჩვეულებრივი გამოხატულებაა. ყოველწლიურად მილიონობით ადამიანი სტუმრობს მუზეუმებს. მუზეუმებში მომსვლელთა რაოდენობრივმა მატებამ დიდი მნიშვნელობა შეიძინა მუზეუმების წვლილმა კულტურული ტურიზმის განვითარებაში. მუზეუმები გარკვეულ ზეგავლენას ახდენენ ქალაქის ზოგად გარემოზე და უფრო საინტერესო და სასიამოვნო ხდება როგორც ქალაქის ასევე მუზეუმების მონახულება. მუზეუმების მეშვეობით იზრდება ის დრო რომელსაც ტურისტები ქალაქში ატარებენ, რასაც მრავალი პოზიტიური შედეგი ახლავს თან. რაც უფრო მეტ ხანს გაატარებს ტურისტი ამა თუ იმ ადგილზე, მით მეტ ფულს დახარჯავს იქ და ამით საზოგადოება უფრო მეტ მოგებას ნახავს.

დღეს მუზეუმები საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესებასთანაც არიან დაკავშირებულები. მუზეუმები ქალაქის ,,სავიზიტო ბარათია“ და შეუძლია კულტურული მიმზიდველობის წყალობით შეცვალოს ქალაქის ღარიბული სახე და ამით ხელი შეუწყონ ურბანულ (ქალაქურ) განვითარებას.

ვინაიდან მუზეუმები წარმოადგენს არა მარტო შენობებს და საგანგებოდ დაცულ კოლექციებს, არამედ კომპლექსურ კულტურულ დაწესებულებებს, რომელთა მიზანია როგორც მატერიალურ-კულტურული მემკვიდრეობის შეგროვება და დაცვა, ისე სათანადო მნიშვნელობებისა და იდეების გადაცემა საზოგადოებისათვის, მუზეუმის ფუნქციები საგრძნობლად გაფართოვდა.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს და ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის ქალბატონ თინათინ მამასტარაშვილის ძალისხმევით

ჩვენი მუზეუმის IV სართული გარემონტდა და მოეწყო საკონფერენციო სივრცე, რომელიც აღიჭურვა საჭირო ინვენტარით: კომფორტული სამუშაო მაგიდა-სავარძლებით, წიგნების შესანახი თანამედროვე კარადებით, კომპიუტერული ტექნიკით, პროექტორის ეკრანით და სხვა. სამომავლოდ დაგეგმილია აღნიშნულ საკონფერენციო დარბაზში სკოლის მასწავლებლების და მოსწავლეების მოწვევა, საინტერესო სამეცნიერო ღია გაკვეთილების ჩატარება. სხვადასხვა საინტერესო თემების პრეზენტაცია და მრავალი სხვა.

აკაკი სარალიძე,

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კურატორი

რედაქციის მინაწერი: ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები ჭიანურდება. მალე ბორჯომში ტურისტული სეზონი დაიწყება, როგორც ჩანს, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი კვლავ ძველებური ექსპოზიციით დახვდება სტუმრებს, ხოლო კოსტავას ბაღში აღდგენილი და რესტავრირებული ყოფილი კავალერიის უნიკალური შენობა კვლავ გამოკეტილია, საკითხავია, როდემდე?! კიდევ უფრო საგანგაშო მდგომარეობაა ლიკანში, რომანოვების სასახლეში და ერთ დროს ედემის ბაღად წოდებულ ლიკნის უნიკალური ბაღი აღარ არსებობს.

ბორჯომის უნიკალური ბუნებას, ისტორიულ ძეგლებს და კულტურულ ობიექტებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან მეტი ყურადღება ესაჭიროება.

კოლხური განძი ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება 1910-1911 წლებში შემთხვევით აღმოჩენილი კოლხურ განძი სოფელ თელოვანიდან. კოლხური „განძი“ ესაა არქეოლოგიური ნივთების ერთობლიობა, რომელიც გარკვეული მიზეზით მოხვდა მიწის სიღრმეში: შესაძლო ომიანობის, სარიტუალო დანიშნულებისა თუ უბრალოდ შენახვის მიზნით. კოლხური განძები ძირითადად შედგება ნიდების, სეგმენტისებური იარღის, სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულების იარღებისგან და რაც ყველაზე მთავრია კოლხური ცულისგან. კოლხური ცული გახლავთ ერთ-ერთი მთავრი განმსაზღვრელი განძის დათარიღების დროს. კოლხური ცული დიდ როლს თამაშობს ამ კულტურის შესწავლის საქმეში, ესაა უნივერსალური იარაღი, რომელსაც გამოიყენებდნენ როგორც საომრად, ასევე საყოფაცხოვრებო დანიშნულებით. კოლხურმა ცულმა განვითარების ხანგრძლივი და რთული გზა განვლო. ძვ.წ II-I ათასწლეულის მიჯნაზე იგი საბოლოო სახეს იღებს და არსებითად აღარ იცვლება. კოლხური ცული გვხვდება სამარხებში და განძებში. სულ საქართველოს ტერიტორიაზე 100-ზე მეტი განძია აღმოჩენილი, როგორც დასავლეთ ისე აღმოსავლეთ საქართველოს იმ რაიონებში რომლებიც ამ კულტურის ზეგავლენას განიცდიდნენ. ცულის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია შემუშავებეული აქვს ქართველ და ასევე უცხოელ მეცნიერებს: (ო. ჯაფარიძე, დ.ქორიძე, რ.ვირხოვი, პ. უვაროვა).

თელოვანის განძი ძირითადად სამინათმოქმედო იარაღებისგან შედგება: ოთხი ცალი სეგმენტისებური იარაღი საკმაოდ დიდი ზომის, **ერთი თოხი, მეტალის წიდა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია კოლხური ცულის ყალიბი.** სეგმენტისებური იარაღის დანიშნულება ჯერჯერობით მთლიანად არაა განსაზღვრული არქეოლოგების მიერ, ზოგიერთი მეცნიერის აზრით ეს უნდა იყოს სამეურნეო დანიშნულების იარაღი, ერთი ნაწილი მას სარიტუალო დანიშნულების იარაღად თვლის, არსებობს ასევე სხვა მოსაზრებებიც. ჩვენს ყურადღებას კი იპყრობს კოლხური ცულის ყალიბი. თელოვანის განძი თავისი შემადგენლობით ერთ-ერთი გამორჩეულია. წლების მანძილზე ეს იყო ერთადერთი შემთხვევა კოლხური ყალიბის აღმოჩენისა აღმოსავლეთ საქართველოში. განძი ძვ.წ XII-XI საუკუნეებით თარიღდება. თელოვანთან ახლოს სოფელ მიტარბში ასევე შემთხვევით აღმოუჩენიათ კოლხური ცული, რომელიც მშვენივრად ერგება თელოვანში აღმოჩენილ ყალიბს. ეს ფაქტი კი უდავოდ მეტყველებს იმაზე, რომ ცულების დამზადება ადგილობრივ ხდებოდა. ამასთან დაკავშირებით კი აღსანიშნავია წაღვერში აღმოჩენილი სახელოსნო.

1911 წელს წაღვერში პროფესორი გოროდცევი პირადად ანარმოებდა გათხრებს. უზნარიანის ციხის მახლობლად, სადაც აღმოაჩინა არქეოლოგიურად მეტად საინტერსო ძეგლი. პირველი ფენა განვითარებულ შუა საუკუნეების ნამოსახლარს წარმაოდგენდა. ნამოსახალრი შედგებოდა კირის ხსნარით ნაგები საცხოვრისებისაგან. მეორე ფენა შეიცავდა სამაროვანს, სადაც გაბატონებული იყო ადამიანის მოკრუნჩხულ პოზაში დაკრძალვა. მცირე ინვენტარის გამო მეორე ფენა ვერ დათარიღდა, მესამე ფენა კი შედგებოდა მეტალურგიული სახელოსნოსგან. აქ აღმოჩნდა მეტად საინტერესო მასალა ტიგელები, წიდები, ქურა, საბერველის საქშენი, ასევე ნამტვრევის სახით ყალიბები. ყოველივე მიუთითებდა, რომ ადგილობრივ ხდებოდა მადნის გამოდნობა და იარაღების წარმოება. გამთხრელმა ძეგლი დაათარიღა არ უადრეს ძვ.წ XIV საუკუნით ანუ გვიან ბრინჯაოს ხანით.

ყოველივეს შეჯერებით გამოდის, რომ წაღვერში გვიან ბრინჯაოს ხანაში არსებობდა მეტალურგიული სახელოსნო, სადაც ადგილობრივ ხდებოდა სპილენძის მადნიდან ბრინჯაოს ნივთების ჩამოსხმა, დაახლოებით ამავე პერიოდისაა თელოვანთან აღმოჩენილი კოლხური განძი, რომელიც ძირითადად კოლხური კულტურისთვის დამახასიათებელი ინვენტარისგან შედგება, რაც მიუთითებს, რომ გვიან ბრინჯაო-ადრე რკინის ხანაში მესხეთი, კერძოთ კი ბორჯომის ხეობა კოლხური კულტურის ზეგავლენას განიცდიდა. სამწუხაროდ, წაღვერში აღმოჩენილი ნივთები პროფესორმა გოროდცევმა რუსეთში გაიტანა. ნივთების ნაწილი ინახება მოსკოვის სახელმწიფო მუზეუმში. ასევე დაკარგულია კოლხური ცულის ყალიბის ერთი ნაწილი. გოროდცევის ხელნაწერებიდან ჩანს, რომ ამ ყალიბის მეორე ნახევარი მას უნახავს 1898 წელს ბორჯომის მამულის მმართველთან, ვინმე ჩეხ იუტნერთნ, რომელიც აპირებდა მის გაგზავნას ვენის მუზეუმში. სამწუხაროდ ამ ყალიბის შემდგომი ბედი ჩვენთვის უცნობია.

მნიშვნელოვანია ისეთი დიდი არქეოლოგის, აკადემიკოსის ბორის კუფტინის მოსაზრება ამ აღმოჩენასთან დაკავშირებით. კუფტინმა აღმოაჩინა და შეისწავლა თრიალეთის ყორღანული კულტურა საქართველოში. ჩვენი მუზეუმის არქივში სათაურით - „მასალები რაიონის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნორგაფიის შესწავლისთვის“ ინახება აკადემიკოს კუფტინის ხელნაწერი. მეცნიერს უიშვიათეს აღმოჩენად მიაჩნია ბორჯომის ხეობაში აღმოჩენილი ბრინჯაოს კოლხური ცულის ჩამოსასხმელი ყალიბი და თვით კოლხური ცული, რომელიც ზუსტად ემთხვევა ყალიბს. სწორედ ეს აღმოჩენა მიაჩნია მას იმის მტკიცებულებად, რომ კოლხური ტიპის ცული, რომელიც ვრცელებოდა კავკასიის ჩრდილო კალთებიდან შავი ზღვის ნაპირებამდე, საქართველოში იმპორტის შედეგად არ იყო მოხვედრილი, არამედ ადგილობრივ ამ შემთხვევაში ბორჯომის ხეობაში არსებულ სახელოსნოებში მზადდებოდა.

აღსანიშნავია, რომ ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქეოლოგიურ ექსპოზიციაში მეტად მნიშვნელოვანი არტეფაქტებია გამოფენილი. თელოვანის განძი და მიტარბში აღმოჩენილი კოლხური ცული კი მეტად მნიშვნელოვან სიმდიდრეს წარმოადგენს ჩვენი კუთხისთვის და მიუთითებს რა ბორჯომის ხეობის დაწინაურებულ მდგომარეობაზე გვიან ბრინჯაოს ხანაში, ასევე მეტად პერსპექტიულს ხდის ხეობის არქეოლოგიურ შესწავლის საქმეს სამომავლოდ, რათა კვლავ გამოვლინდეს ამგვარი მნიშვნელოვანი არტეფაქტები და ძეგლები ხეობაში, რასაც დიდი წვლილი შეაქვს ქართული კულტურის შეწავლის საქმეში.

მიხეილ ორჯონიკიძე,

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელი

ვულოცავთ!

ნოდარ კოზანაშვილისა და ნათელა ხაჩიძის დაბადების დღეები

როგორი ბედნიერებაა, როდესაც უხუცეს მშობლებს მისი მონაგარი დაბადების დღეს ვულოცავთ. თანაც მრავალრიცხოვანი მონაგარი - შვილები, შვილიშვილები... გაფანტულები ვინ უცხოეთში, ვინ იქვე ახლოს მეზობლად, ანდაც სხვა ქალაქში, მაგრამ ვერთიანდებით ხშირად მშობლიურ სახლში.

ჩვენო ღირსეულო დედა და მამა, ბაბუა და ბებია! გვიხარია, რომ კიდევ ერთი თქვენი მაისი დადგა, მუდამ აყვავებული, იასამნების სურნელით გაბრუებული. თქვენც ორივე მაისს გავხართ - სიცოცხლე გვაჩუქეთ, დაგვაფრთიანეთ, აღგვზარდეთ, დაგვიმშვენეთ ცხოვრება. შეიძინეთ რძლები და სიძეები, შემდეგ კი შვილიშვილები და თქვენს ირგვლივ მოფუსფუსე მოსიყვარულე ხალხმა იმატა და იმატა. ისე შევისისხლხორცეთ თქვენთგან მადლიანობა, მოყვასის სიყვარული და პატივისცემა, რომ ბედნიერები ვართ, როდესაც თქვენ გვამსგავსებენ! ჩვენო კეთილშობილებო და ხელგაშლილებო, მშრომელებო, შემოგეპარათ ასაკი, ვერც ვერავინ გაექცევა ამას, მაგრამ მაინც ყოჩაღად უნდა გვყავდეთ.

გილოცავთ! სიმხნევეს გისურვებთ, ჯანმრთელობას და კიდევ დიდხანს სიცოცხლეს ჩვენს გასახარად და საიმედოდ! გვიყვარხართ.

თქვენი დიდი ოჯახი



12 მაისს დაბადების 60 წელი შეუსრულდა ჩემი მეუღლის დედმამიშვილს კუკური ბეშკენაძეს.

მინდა დიდი სიყვარული და პატივისცემით მივულოცო ეს დღე.

მრავალშვილიან, პატიოსან ოჯახში გაზრდილი, შრომასა და გარჯაში გამოწრთობილს არც ქვეყნის და არც ოჯახის სამსახურში დაუზოგავს თავი. ახლაც მხნედ მიუყვება ცხოვრების ბილიკს. წინ უძღვის თავის ნაამაგარს მხრებგაშვილი და წელგამართული.

მრავალს დაესწარი ჩემო კარგო მაზლო. ჯანმრთელად და ბედნიერად გეცხოვროს გამთლიანებულ, 8M შვიდობიან ქვეყანაში შენს ხანში შესულ 66, 71, 74, 77, 83, 86 წლის დედმამიშვილებთან და უამრავ სანათესაოსთან ერთად.

გფარავდეს უფალი და შეგეწიოთ წმ. ანდრია პირველწოდებულია ძალი და მადლი!

მაყვალა მახათაძე.

ზნეობის თემაზე

გაითვალისწინეთ ბერიკაცის შეგონება

ხომ იცით, ყველაფერი იბადება, იზრდება, ბერდება და... წლები ყველას აბერებს: ცხოველებს, ფრინველებს, მცენარეებს, ადამიანებს, „ყოველ დასაწყისს დასასრული აქვს“... ამ გზას არავინ აცდენია, არც ჩვენ ვართ გამონაკლისები, ამიტომაა, რომ ადამიანი უნდა ფიქრობდეს და იმქვეყნად წასასვლელად ემზადებოდეს, სანამ ცოცხალია, ყურადღებას იმაზე უნდა ამახვილებდეს, თუ როგორ წავა ამქვეყნიდან... ადამიანს ხომ ორი სახელი უნდა ჰქონდეს: ერთი აქ დასატოვი და მეორე იქ წასაღები... აქ თუ უხეიროდ იცხოვრე, იქ ხეირი ნამდვილად არ დაგეყრება. ზეციურ სასუფეველში არავინ მიგიღებს, არც სამოთხეში მოხვდები და ერთთავად ჯოჯოხეთში, ადუღებულ კუპრში მოგიწევს ფართხალი. არ დაგავიწყდეს, შენი ამქვეყანაზე ცხოვრება წუთია, ანუ წუთისოფელი მეტად ხანმოკლეა. ამიტომ უფლისაგან ბოძებული შენი სიცოცხლე ღირსეულად უნდა განვლო. წლებით დამძიმებულს უკან მოხედვის არ უნდა შეგრცხვეს, შეგეძლოს გააანალიზო როგორ იცხოვრე, ქვეყანას, სამშობლოს, მშობლიურ ქალაქს, უბანს, ოჯახს, შვილებს, შთამომავლობას, მეგობრებს, მეზობლებს რა სიკეთე მოუტანე, თუ მრუდე გზით და ბოროტების, ხელმრუდობის, არაკაცობის ვირზე იყავი შემომჯდარი, ეკლესიაში წადი, მოძღვარი ნახე და მოინანიე, უფალი ყველა შეცოდებას არ გაპატიებს, მაგრამ შენი სიგრძე სანთელი მაინც დაუნთე მამაზეციერს, იქნებ, მოწყალება მოიღოს და სამუდამოდ არ გაგწიროს...

და როცა ზეციურ გზას შეუდგები, არ დაგავიწყდეს, იმ საცალფეხო კიბეზე ფრთხილად აიარე, ხანდახან ქვევითაც გადმოიხედე, ამქვეყნად დატოვებულს გადმოხედე... მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს, შენ ტოლ-სწორებს, მეზობლებს, ნაცნობ-მეგობრებს, სახლიკაცებს მოესიყვარულე, მომზადებული, პირნათელი წარსდექი უფლის წინაშე და მარადისობაში დაიმკვიდრე საპატიო ადგილი. გახსოვდეს, თუ ღირსეულად იცხოვრე, მარადისიბაში უფრო დიდხანს მოგიწევს ყოფნა, იქ მანამდე დარჩები, სანამ აქ, წუთისოფელში გამხსენებელ-მომგონებელი გეყოლება, ამიტომ ისე იცხოვრე, როგორც ქართველები ამბობენ: „აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესაო“.

, ,სად არის არღანი, ოცდაექვსიანი,
ღვინო თვალებით მჭამს მარნიდან,
ქეიფი მოსულა, ჩემი ჯერი არი,
ერთსაც შევუბერავ და... ჰაიდა!“.

P.S. ეს პატარა სევდიანი მონოლოგი მიცვალებულთა მოხსენიების დღემ დამაწერინა , რომელიც ამჯერად 6 მაისს აღინიშნა. მიცვალებულები ზოგიერთ უტიფარ, უზრდელ, უხიაგ, უთავმოყვარეო და უღირს ადამიანებს ჯობნიან, რომლებიც უკანასკნელ წლებში მოგვიმრავლდნენ და „ოქროკაზმული“ სიტყვამოსწრებულობით ცდილობენ ადამიანებს როგორმე მოუწამლონ ცხოვრება. არადა, რა და ხანმოკლეა ჩვენი წუთისოფელი! გაითვალისწინეთ „ბრძენკაცებო“ ზემოთ ნათქვამი შეგონება!

ვალერიან ლომიძე.

პოეზიის კუთხე

უფალო იესო...

ვფიქრობ და ვერ ვხვდები რატომ,
ვზეიმობთ გაჩენას, თან ვნანობთ,
ნეტავი მაღალმა ღმერთმა,
ასე რად მოაწყო სამყარო?
გვიხარის, ვზეიმობთ შობას,
იესო სიყრმიდან გზაზე,
მიზეზს ეძებენ, რომ ისევ,
ულმობლად გაგაკრან ჯვარზე.
სისხლით ჩამოგბანენ სხეულს,
ეკლიანს დაგადგამენ გვირგვინს,
ცოდვად ჩაგითვლიან სასწაულებს,
ლურსმებს დაგარჭობენ მიჯრით. .
მერე კი დაღვრიან ცრემლებს,
ძაძებს ჩაიცმევენ ტანზე,
ცოდვის მიტევებას გთხოვენ,
ხოხავენ ტაძრების კარზე...

ისევ ველოდებით წუთებს,
წარმოვსთქვათ: „ქრისტე აღსდგა”!!!
უფალო შენს შექმნილ სამყაროს,
გთხოვ, არ დაურღვიო აღთქმა.
სიხარბე მოუსპე გულში,
ვინც ოქროს და ვერცხლს ეტრფის,
უბრალო მოკვდავის ცოდვით,
გულებს რომ ისვრიან ნეხვში.
აღდგომა გვაზეიმე ისე,
რომ აღარ დაგვჭირდეს ჯვარცმა,
კურთხეულ, ღვთისმშობლის მიწას
აღარ მოუვლინო წარღვნა.
ნეტარ ჰყავ, ვინც გულით გრწმუნობს,
და რწმენას იკაჟებს შენით,
ი ე ს ო ძეო ღმრთისა,
იშვი და ჩასახლდი ჩვენში!!!

იზო სარქისიანი.

ლია ბიბილაშვილი-ლომიძის მოსაგონარი

ტკივილიანი და მწუხარებით აღსავსე ერთი წელი გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ. ძალიან ძნელი და რთულია სიტყვების მოძებნა იმ მწუხარების გადმოსაცემად, რაც იმქვეყნად წასვლით დაგვიტოვე. ორი წელი მთელი ოჯახი ერთად ვიბრძოდით შენი გადარჩენისათვის, არანაირი ძალა, ენერგია, თუ ფინანსები არ დაგვიკლია შენი გამოჯანმრთელებისათვის. სამწუხაროდ, ყოველივე ტკივილიან მოგონებად დარჩა, იმ ავადმყოფობას, რამაც სარეცელს მიგაჯაჭვა, საქართველოში კი არა, მსოფლიოს საუკეთესო ექიმები დღემდე უშედეგოდ ებრძვიან.

დაგვიტოვე უაღრესად სევდიანი მოგონებების ეპიზოდები. სერიოზული ეკონომიური და ფინანსური პრობლემების მიუხედავად ერთად ვზრუნავდით ოჯახისა და შვილების მომავლისათვის. იყავი ღირსეული მეუღლე, დედა, ბებია, დიდი ოჯახის დიასახლისი, უანგარო მეგობარი, გიყვარდა სკოლა, შენი კოლეგები, მოსწავლეები და საერთოდ ადამიანები, რომლებიც დღესაც დიდი სევდით, თვალცრემლიანები გიხსენებენ. სულ იმას ცდილობდი, მეგობრისათვის თუ მეზობლისათვის სიკეთე გეკეთებინა, ამით ხარობდი კიდეც. კმაყოფილი იყავი მათი ბედნიერებით და ფიქრობდი მცირედი წვლილი შეგეტანა სხვისი გაჭირვების გათავისებაში. ბუნებით გულკეთილი, უბოროტო, სულის კეთილშობილი ადამიანი იყავი.

ჩვენ სტუდენტობის წლებიდან ვგეგმავდით ლამაზი ოჯახის შექმნას. მძიმე ფიზიკური შრომის ფასად ბევრი რამ შევძელით. არაერთხელ გადავაკეთეთ და ფაქტიურად, თავიდან ავაშენეთ ძველი სახლი და ახლის იერი მივეცით. შვილები ღირსეულ მოქალაქეებად აღვზარდეთ. ორივეს გვეამაყებოდა მათი წარმატებები, შვილიშვილები თითქმის ბორჯომში დაიზარდნენ, ახლა ყოველმხრივ ცდილობენ მარტოობა არ მაგრძნობინონ, მთხოვენ თბილისში მათთან გადასვლას, მაგრამ მე იქ ვერ ვიცხოვრებ, ჩვენს აშენებულ სახლში და ეზო-კარმიდამოში უნდა გავატარო დარჩენილი სიცოცხლის წლები. მე და შენ დაგვრჩა წვრილმანი საქმეები მოსაგვარებელი და გასაკეთებელი, ისინი უშენოდ უნდა დავასრულო, მერე წამოვალ, აბა, აქ ვინ დამტოვებს.

მთელი წელი გავიდა, რაც იმქვეყნად წახვედი და სამწუხაროდ, სიზმარშიც ვერ გნახე, რასაც ვაკეთებ შენს სახელს ვარქმევ, ვცდილობ, კარგად გამომივიდეს, ისე შენ რომ მოგეწონებოდა.

ნუგეშად ის მრჩება, რომ უფალი შენ სულს უეჭველად მიუჩენს ადგილს ზეციურ სასუფეველში.

გიხსენებს მეუღლე.

პოეზიის საღამო ბიბლიოთეკაში

ბაკურიანის საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ბიბლიოთეკის დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო-შეხვედრა „პოეზიის აკვანის“ XIII ტომის თანაავტორებთან დარეჯან ბარათელთან და სოფო ხეთაგაშვილთან, ხოლო კიდევ ერთი ბაკურიანელი პოეტის ანა გელდიშვილის შემოქმედებას წარმოადგენდა მისი ქალიშვილი თამარ მიქაბერიძე. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ ბაკურიანის საჯარო სკოლის XIII კლასის მოსწავლეები. ავტორებმა წაიკითხეს თავისი ლექსები და მათი შექმნის ისტორიებიც გაანდეს დამსწრე საზოგადოებას - როგორ ეხმაურებიან ისინი საქართველოსა და მსოფლიოში მომხდარ მოვლენებს, ქვეყნის ჭირ-ვარამს, სპორტულ გამარჯვებებს თუ საკუთარ სულიერი მდგომარეობას თავიანთ შემოქმედებაში.

ღონისძიების პარალელურად დაათვალიერეს ბიბლიოთეკის საუკეთესო მკითხველი, VIII კლასის მოსწავლე გიორგი ჩუბკო. მას გადაეცა დიპლომი და სამახსოვრო საჩუქარი.

რუსუდან სხირტლაძე



ახლო მეზობლები: ომარი კიკაძე, ნონა, დოდო, ნიკა გელაშვილები, ზურა, ნიკა, დათო, ნათელა ხაჩიძეები, ლევან ტაბატაძე, შორენა ვაჩეიშვილი, დათო ნოზაძე, ეკა გუდაძე, თამაზი, სიმონი, ლაშა ხაჩიძეები, გენადი მუმლაძე, თემური ორჯონიკიძე, შალვა, გია ბლიაძეები, დათო, ანა ლომიძეები, რამაზ ჯიოშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლამზირა რაზმაძე-ხაჩიძისა

დაიკრძალა 11 მაისს.

25 მაისს 100 წლის გახდებოდა

„გასულ წელს, ზუსტად ამ დღისთვის პირობის დადება ვთხოვე, 100 წლის ხდებოდა და სამამულო ომის ერთადერთი ვეტერანი იქნებოდა ბორჯომში... ბოლო 2 წელი, 9 მაისისთვის, მასზე ვიღებდი სიუჟეტებს და მინდოდა მესამედაც ჩამეწერა ინტერვიუ, ამჯერად „ერთსაუკუნოვან“ რესპონდენტთან და კიდევ ერთხელ მოეყოლა მოგონებები მეორე მსოფლიო ომიდან!

ვერ დამპირდა, მიპასუხა „თუ გავქარჩე“, კიდევ გადამიღეო. სამწუხაროდ, გარდაიცვალა. ძალიან დამწყდა გული! არა და ახალდაბელი გიორგი ჩადუნელი 25 მაისს, 100 წლის უნდა გამხდარიყო!

წელს, პირველად, ბორჯომი, სამამულო ომის ვეტერანების გარეშეა!...

წერს საკუთარ ფეისბუქ გვერდზე ტელეკომპანია ბორჯომის ჟურნალისტი ნინო ვართაპეტიანი და რესპოდენტთან გადაღებულ ფოტოს გვიზიარებს.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება: თბილისი, ე. ბაღდავაძის №20.
WWW. colorgroup.ge
borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე